დანართი თ: ინფორმაცია სგშ-ის საკონსულტაციო კომპანიისა და ექსპერტების შესახებ

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (მუხლი 3) თანახმად, სგშ-ს ჩატარება დამგეგმავ ორგანოს შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომპეტენტური კონსულტანტის დახმარებით. წინამდებარე სგშ ჩაატარა საკონსულტაციო კომპანიამ Georgia's Environmental Outlook (GEO) „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის" ფარგლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გაწეული ფინანსური დახმარებით.[1]

GEO არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს კარგი მმართველობისა და ინკლუზიური მდგრადი განვითარების მხარდაჭერას, აგრეთვე საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას, საქართველოში არსებულ გარემოსდაცვით გამოწვევებზე საპასუხოდ. ორგანიზაცია ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას და დიალოგს საჯარო და კერძო სექტორებს შორის, აგრეთვე სახელმწიფო უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი არსებული და მომავალი მოთხოვნების შესასრულებლად. GEO-ს ჩატარებული აქვს სხვადასხვა ხასიათის კვლევები და მომზადებული აქვს ანალიტიკური ანგარიშები, საპროგრამო დოკუმენტები, მეთოდოლოგიები და დეტალური სახელმძღვანელო დოკუმენტები, სამართლებრივი აქტების პროექტები, და სხვ. GEO-ს გამოცდილება გზშ-ის და სგშ-ის კუთხით მოიცავს შემდეგს:

- ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშები (2019 – 2020 წწ.) (ევროკავშირი/გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (EU/UNECE));
- სგშ-ის სახელმძღვანელო და სგშ-ის საკითხებში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის (2017 წ.) (ევროკავშირი/გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (EU/UNECE));

[1] აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის" მიზანია, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, მავნე ზეგავლენის მიმართ სექტორის დაუცველობის შემცირებით კარგად დასაბუთებული გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებისა და მმართველობის დანერგვის, განახლებადი ენერგიის წარმოებაში (ქარის, მზის და ჰიდროენერგეტიკის ჩათვლით) კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდის, შიდა ენერგეტიკული ბაზრების ეფექტიანი და მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებისა და კიბერსაფრთხეების მიმართ ენერგეტიკული სექტორის მდგრადობის გაძლიერების გზით.

- საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტის სკოპინგისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშები (2015-2016 წწ.) (ევროკავშირი/გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (EU/UNECE));

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ნაგავსაყრელის სკოპინგისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) ანგარიშები (2019-2023 წწ.) (KfW);

- სკოპინგის ანგარიში იმერეთის რეგიონული ნაგავსაყრელების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის (ბსგზშ) (2021-2022 წწ.) (KfW).

წინამდებარე სგშ ჩატარდა სკოპინგისა და სგშ-ის ეტაპებზე შემდეგი ექსპერტების მონაწილეობით:

- ხათუნა გოგალაძე, პროექტის მენეჯერი;
- დაგ ჰიკმანი, საერთაშორისო ექსპერტი;
- მალხაზ ადეიშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ანა რუხაძე, ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტები, დაცული ტერიტორიები (სკოპინგის ეტაპი);
- კახა არცივაძე ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტები, დაცული ტერიტორიები (სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპი);
- ირაკლი ქობულია, ექსპერტი სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში, კულტურული მემკვიდრეობის და GIS ექსპერტი;
- გიორგი კამკამიძე, ჯანდაცვის ექსპერტი;
- ნინო მალაშხია, წყლისა და კლიმატის ცვლილების ექსპერტი;
- ილია კუნჭულია, ნიადაგმცოდნე;
- თამარ გუგუშვილი, ჰაერის ექსპერტი (სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპი);
- არჩილ მაღალაშვილი, გეოლოგიური საფრთხეების ექსპერტი (სგშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპი).